სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/ 215

ქ.რუსთავი 30 დეკემბერი 2011 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის სახით და მეორეს მხრივ, ააიპ „რუსთავის საინფორმაციო ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის ნესტან არჩვაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10 მუხლის 3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის (გადაუდებელი აუცილებლობა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5„მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 რუსთავის თვითმმართველობის ვებ-გვერდის ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა (**CPV72300000**) (დანართი №1)-ის შესაბამისად.

3, ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2083.00** (ორი ათას ოთხმოცდასამი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4, ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.3 ანგარიშსწორების ვადა:
4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5, მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან ააიპ „რუსთავის საინფორმაციო ცენტრი"-ის წარმომადგენელი.
5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

გაწეული მომსახურების დასახელება;
გაწეული მომსახურების ღირებულება;

6, მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. რუსთავი.
6.2 მომსახურების გაწევა ვადა: 2012 წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე.

7, მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში;
ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;
გ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსი.
8.2 ინსპექტირების გამწევი პირის ფუნქციები:
ა) მომსახურების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება..
გ) მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგადამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

10, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12,1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13,1ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 1 მარტამდე..

შემსყიდველი	მიმწოდებელი
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის:რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი№20 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ № LBRTGE22 ა /ა № GE78LB0125148543037000	ააიპ „რუსთავის საინფორმაციო ცენტრი" მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №216398869 სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა /ა №GE96BG0000000 875239200
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე	ააიპ „რუსთავის საინფორმაციო ცენტრი"-ს გამგეობის თავმჯდომარე
კახა გურგენიძე	ნესტან არჩვაძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: მ.დოლიძე

- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ;

- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საინფორმაციო მხარდაჭერა და საქმიანობის პოპულარიზაცია ელექტრონული რესურსის – ვებგვერდის გამოყენებით;

- თვითმმართველობის ვებგვერდის მუდმივი სრულყოფა და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მისი ფუნქციონირების პროგრამული უზრუნველყოფა, ვებგვერდის ფორმატის შეცვლა თვითმმართველობის მოთხოვნისა და ინტერესებიდან გამომდინარე;

- ვებგვერდის დიზაინისა და სტრუქტურის შეცვლა, ასევე სხვადასხვა ფუნქციონალური კორექტივებისა შეტანა თვითმმართველობის მოთხოვნისა და ინტერესებიდან გამომდინარე;

- ვებგვერდის ადმინისტრირება, ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

- ინფორმაციის გავრცელებისა და ვებგვერდის სრულყოფის თაობაზე წინადადებების შემუშავება;

- ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ინგლისურ ენაზე თარგმნა (გარდა ნორმატიული აქტებისა)

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების, ასევე თვითმმართველობის საქმიანობის ამსახველი არასამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების შეგროვება და გამოქვეყნება ვებგვერდზე თვითმმართველობის მოთხოვნიდან გამომდინარე;

- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებული აუქციონების და კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოგროვება,

ტექნიკური უზრუნველყოფა და გამოქვეყნება მოთხოვნიდან გამომდინარე;

- სხვადასხვა ხასიათის განცხადებების გამოქვეყნება მოთხოვნიდან გამომდინარე;

- საქალაქო სტრუქტურებსა და ქალაქში მომხდარი სიახლეების, სამომავლო პროგრამების, პროექტების ოპერატიული გაცნობა საზოგადოებისათვის ვებგვერდისა გამოყენებით;

- საზოგადოების, ოპერატიული და სისტემატური ინფორმირება თვითმმართველობის სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების თაობაზე ვებგვერდის გამოყენებით;

- საზოგადოების ინფორმირება თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე ვებეგვერდის გამოყენებით;

- თვითმმართველობის სამსახურების შესახებ ინფორმაციის, დებულებების მოძიება და ვებგვერდზე განთავსება;

- სხვადასხვა საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ინტერაქტიული გამოკითხვა ინტერნეტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. კვლევის შედეგების ანალიზურ დამუშავება და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის წარდგენა.

- საკრებულოს სხდომებზე დასწრება და სხდომის მნიშვნელოვან დეტალებზე ინფორმაციების მომზადება და ვებგვერდზე განთავსება;

- ვებგვერდის მეშვეობით საზოგადოებასთან უკუკავშირის დამყარება და ორმხრივი ეფექტური კომუნიკაციების ხელშეწყობა. ვებგვერდზე შემოსული წინადადებების, წერილების, შენიშვნებისა და შეკითხვების სისტემატიზაცია და გადაცემა შესაბამისი უწყებისთვის/ხელმძღვანელი პირისათვის. კომპეტენტური პასუხის მომზადება და ვებგვერდზე განთავსება ან შესაბამისი ადრესატისთვის გაგზავნა.

- ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

- სხვადასხვა ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ვებგვერდზე განთავსება;

- თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი პირების ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა ინფორმაციის მოძიება დამუშავება და წარდგენა;

- თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებით ნიუსების, პრეს–რელიზების, სტატიების, ასევე, თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების ინტერვიუების მომზადება როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე და ვებგვერდზე განთავსება;

- თვითმმართველობის გასვლით ღონისძიებებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე დასწრება, ღონისძიებების ამსახველი მასალის მომზადება, რედაქტირება და ვებგვერდზე განთავსება;

- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ამსახველი ფოტო მასალის, ასევე ვიდეო მასალის რედაქტირება, მონტაჟი და ვებგვერდზე განთავსება.

- აუდიო, ვიდეო და ფოტოგალერეის მენეჯმენტი.

- ვებბანერების შექმნა;

- ვებ-გვერდზე დროულ, შესაბამის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში) განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე პასუხისმგებლობა

- სხვა აქტივობები რომელიც დაკავშირებულია თვითმმართველობის საქმიანობის პოპულარიზაციასთან, თვითმმართველობისა და საზოგადოების კომუნიკაციასთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. ასევე დამხმარე ხასიათის ტექნიკური მხარდაჭერა თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე;

- მომსახურება უნდა გაიწიოს საჭიროების შემთხვევაში დასვენებისა და უქმე დღეებშიც.